

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია (44 თვე)

I. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამა განკუთვნილია დიპლომის შემდგომი მზადებისათვის პლასტიკურ და რეკონსტრუქციულ ქირურგიაში.

პროგრამის მიზანია, რეზიდენტი დაეუფლოს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას პლასტიკურ და აღდგენით ქირურგიაში.

სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის სპეციალისტმა უნდა იცოდეს დენტოლოგიის საკითხები პლასტიკურ ქირურგიაში, ამასთან, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად იგი უნდა ფლობდეს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ზოგად ქირურგიაში.

სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდგომეკიმ-სპეციალისტის კომპეტენციებია:

- სწორი დიაგნოზის დასმა;
- ოპერაციის დაგეგმვა;
- ოპერაციული ტაქტიკის დაგეგმვა;
- ოპერაციის შესაბამის ტექნიკურ დონეზე შესრულება;
- პოსტოპერაციული პერიოდის მართვა.

2. სპეცილობის აღწერილობა

პლასტიკური ქირურგია – ეს არის მედიცინის დარგი, რომელიც მიმართულია სხეულის ფორმის ან ფუნქციის კორექციის ან რეკონსტრუქციისაკენ. პლასტიკური ქირურგია მოიცავს ქსოვილების დეფექტების, დეფორმაციების და სხეულის სხვადასხვა დარღვეული ფუნქციების ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს.

პლასტიკური ქირურგია – ეს არის სამედიცინო სპეციალობა და მეცნიერების დარგი, რომელიც აერთიანებს სწავლებას ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და უნივერსალური დარგისა – დაწყებული დერმატოლოგიის ნაფლეთის გადანერგვიდან - დამთავრებული რამდენიმე სისხლმომარაგებადი ქსოვილის კომპლექსის ერთმომენტური ტრანსპლანტაციით, დაწყებული კანის მარტივი, მცირე და დიდი დეფექტის დახურვით - დამთავრებული ორგანიზმის ურთულესი კინემატიკური სისტემების რეკონსტრუქციით, დაწყებული კოსმეტიკური ნაკერის დადებიდან - ახალი მოფუნქციონირებელი ორგანოს შექმნით დამთავრებული.

პლასტიკური ქირურგია იყოფა ორ დარგად – რეკონსტრუქციულ და ესთეტიკურ ქირურგიად. რეკონსტრუქციული ქირურგიის დანიშნულებაა

თანდაყოლილი და შექმნილი დეფექტების დეფორმაციების ან დაკარგული ფუნქციის აღდგენა. ხოლო ესთეტიკური ქირურგია კი ემსახურება გალამაზებას და ადამიანის სოციალურ რეაბილიტაციას.

პლასტიკური ქირურგია მდიცინის დარგის სპეციალისტია, რომელსაც შესწევს უნარი მიკროქირურგიული და სხვა არსებული ტექნიკის გამოყენებით აწარმოოს რთული აღდგენითი ოპერაციები ორგანოთა და ქსოვილთა ფუნქციის დასაბრუნებლად, მისცეს ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილს ესთეტიკური ფორმები.

პლასტიკური ქირურგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
ა) რეკონსტრუქციული მიკროქირურგია

- ა.ა) ზემო კიდურის პოსტტრავმული დაზიანებების მკურნალობა
 - დიაგნოსტიკა და კლასიფიკაცია, ოპერაციის ჩვენება, ავადმყოფების მომზადება საოპერაციოდ, გაუტკივარება;
 - რეკონსტრუქციული მიკროქირურგიული ოპერაციების ზოგადი საკითხები;
 - რაციონალური განაკვეთები და კანის პლასტიკა;
 - მყესების ნაკერი და პლასტიკა, ტენოლიზი;
 - სისხლძარღვების ნაკერი და პლასტიკა, არტერიოლიზი;
 - დიდი ფართობის კანის საფარველის დაკარგვისას (თერმული დაზიანებები და სხვა) მისი აღდგენა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
 - მწვავე გადაუდებელი პლასტიკური ოპერაციების წარმოება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
 - მწვავე გადაუდებელი პლასტიკური ოპერაციებისა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის წინა ოპერაციულ პერიოდში ზოგადი მდგომარეობის შეფასება და სათანადო ინტენსიური თერაპიის განხორციელება; ნერვების ნაკერი და პლასტიკა, ნევროლიზი;
 - ავადმყოფების ოპერაციის შემდგომი მოვლა;
 - თითების და მტევნის თანდაყოლილდეფორმაციებისა და განვითარების მანკების მკურნალობა;
 - თითების და მტევნის დერმატოგენული, ოსტეოგენური და მყესოვანი კონტრაქტურების მკურნალობა;
 - ნეიროგენური და ნეიროიშემიური კონტრაქტურების მკურნალობა;
 - ფოლკმანის კონტრაქტურის მკურნალობა;
 - კუნთის გადანერგვა;
 - მცირე სახსრების და ძვლების გადანერგვა;
 - თითების გადანერგვა;
 - კანის გადანერგვა;
 - **TD** ნაფლეთის და ზურგის უგანიერესი კუნთის ტრანსპლანტაცია ზემო კიდურის ტროფიკული და მოტორული ფუნქციის აღსადგენად;
 - ნაფლეთების ტრანსპლანტაცია ზემო კიდურების რბილქსოვილოვანი დეფექტების ჩასანაცვლებლად;
 - რეკონსტრუქციული მიკროქირურგიული ოპერაციების შემდეგ ავადმყოფთა რეაბილიტაცია;
 - მაკორეგირებელი განმეორებითი ოპერაციები;

ა.ბ) პერიფერიული ნერვული სისტემის მიკროქირურგია

- პერიფერიული ნერვების ანატომია და ფიზიოლოგია;
- პერიფერიული ნერვების დაავადებისა და დაზიანების კლასიფიკაცია;
- ზემო და ქვემო კიდურების პერიფერიული ნერვების დაზიანების კლინიკა;
- სახის ნერვის დაზიანების კლინიკა;
- ნერვებზე ოპერაციების ზოგადი საკითხები;
- ნევროლიზი და მისი სახეები;
- ნაკერი და მისი სახეები;
- პლასტიკა და მისი სახეები;
- მხრის წნულის მიკროქირურგია;
- ზემო კიდურის ნერვების მიკროქირურგია;
- შუათანა ნერვი;
- იდაყვის ნერვი;
- სხივის ნერვი;
- ქვემო კიდურების ნერვების მიკროქირურგია;
- სახეჯდომი ნერვი;
- დიდი წვივის ნერვი;
- მცირე წვივის ნერვი;
- სახის ნერვის მიკროქირურგია;
- პერიფერიულ ნერვებზე ოპერაციის ჩვენება;
- ოპერაციების წინა და შემდგომი მკურნალობის თავისებურებები;
- ავადმყოფების რეაბილიტაცია პერიფერიულ ნერვებზე ოპერაციის შემდეგ;
- ალტერნატიული ოპერაციები პერიფერიული ნერვების დაზიანებისას;

ა.გ) ნაფლეთების მიკროქირურგია

- ნაფლეთების მიკროქირურგიის ანატომიური დასაბუთება;
- თავისუფალი ნაფლეთების კლასიფიკაცია;
- ნაფლეთების მიკროქირურგიული გადანერგვისა და როტაციის ზოგადი თვისებები;
- ჩვენება;
- ნაფლეთების დაგეგმვა;
- ოპერაციის ტექნიკა და დონორული ზონების დახურვა;
- ტრანსპლანტატის სიცოცხლისუნარიანობის კონტროლი;
- ავადმყოფების ოპერაციის შემდგომი მოვლა;
- კან-ცხიმოვანი და კან-ფასციალური ნაფლეთების მიკროქირურგია;
- ბარძაყის კან-ფასციალური ნაფლეთები;
- საფენის (მუხლის მიდამოს) ნაფლეთი;
- ტერფის დორზალური ნაფლეთი;
- ტერფის თითთაშორისი ნაფლეთი (უსახსროდ და ფალანგთაშორისი სახსრით);
- ბეჭის მიდამოს ნაფლეთი;
- იღლისქვეშა ნაფლეთი;
- დელტოიდური ნაფლეთი;
- მხრის კან-ფასციალური ნაფლეთი (იდაყვის და სხივის)
- საფეთქლის, ყურისუკანა და შუბლის ნაფლეთები;

- კან-კუნთოვანი ნაფლეთების და კუნთოვანი ტრანსპლანტატების მიკროქირურგია;
- ზურგის უგანიერესი კუნთის ნაფლეთი;
- კან-კუნთოვანი თორაკოდორზალური ნაფლეთი;
- კან-კუნთოვანი თორაკო-აბდომინალური ნაფლეთი;
- მკერდის დიდი კუნთის ნაფლეთი;
- დაკბილული კუნთის ნაფლეთი;
- მუცლის სწორი კუნთის ნაფლეთი;
- ბარძაყის განიერი ფასციის დამჭიმავი კუნთის გადანერგვა;
- ნაზი კუნთის ნაფლეთის გადანერგვა;
- ტერფის თითების საერთო გამშლელის გადანერგვა;
- ფეხის გულის მედიალური ნაფლეთი;
- ძვლოვანი ნაფლეთების თავისუფალი მიკროქირურგიული გადანერგვა;
- ბეჭის მიდამოს ნაფლეთი ბეჭის ძვლის ჩართვით;
- ნეკნის ნაფლეთი;
- სხივის კან-ძვლოვანი ნაფლეთი
- თეძოს ძვლის ქედის ნაფლეთი;
- ნაფლეთი მცირე წვივის ძვლით.
- ნაფლეთოვანი მიკროქირურგია ქირურგიის მომიჯნავე დარგებში;
- რეკონსტრუქციული პლასტიკური ქირურგიული მეთოდების ცოდნა რომლებიც არ ტხოულობენ მიკროქირურგიული მეთოდების გამოყენებას.
- სხვადასხვა დაზიანების შესაბამისად აუტოკანის გადანერგვისა არამიკროქირურგიული მეთოდების შერჩევა და დიფერენცირებული გამოყენება;
- ჰომო, ალო, ქსენო და სხვა ტრანსპლანტატების გამოყენების ჩვენებების დადგენა და პოსტოპერაციული მკურნალობა წარმოება;
- ტანგენციალური, ადრეული ნეკრექტომია და კანის საფარველის ერთდროული არდგენა ტრანსპლანტაციის შესაბამისი მეთოდებით;
- ექსპანდერის ჩვენება. მისი სხვადასხვა ლოკალურ არეში შეყვანა და ეტაპების ათვისება;
- სახის ზემო და ქვემო კიდურების და სხეულის ცალკეულ უბნებზე ფილატოვის ყლორტის შექმნა, მოსალოდნელი შედეგები, გართულებები და მათი პრევენცია;
- თავის ქალის, სახის და სხვა ლოკალურ არეში ადგილობრივი ქსოვილების მკვებაზე ფეხზე შემობრუნებული ტრანსპლანტატის შექმნა;

ბ) ესთეტიკური ქირურგია

ბ.ა) საფუძვლები

- პლასტიკური ქირურგიის განსაზღვრება, მოცულობა და ზოგადი პრინციპები;
- ესთეტიკური ოპერაციების ჩვენების დადგენა;
- კანის ოპტიმალური განაკვეთი;
- კანის პლასტიკა და გადანერგვა;
- კანის დეფექტების დახურვა ადგილობრივი ქსოვილებით;
- კანის გადანერგვა ფილატოვის ყლორტებით;

- კანის თავისუფალი მიკროქირურგიული გადანერგვა;
- კანის კოსმეტიკური ნაკერები;
- კელოიდური ნაწიბურები მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- კუჭის ბალონირება;
- ანესთეზიოლოგია, რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია ესთეტიკური ქირურგიაში;
- ოპერაციის წინა და შემდგომი მკურნალობა ესთეტიკური ქირურგიასი;
- გართულებები ესთეტიკური ქირურგიაში, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- დეონტოლოგიის საკითხები ესთეტიკური ქირურგიაში;
- ტრანსპლანტაცია პლასტიკური ქირურგიაში;
- იმპლანტაციური მასალები;
- ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება და მათი მნიშვნელობა;
- სხეულის ამა თუ იმ მიდამოს გათვალისწინებით დეფექტების ან დეფორმაციის ანალიზი. ანატომიური თავისებურებანი;
- ოპერაციის წარმართვა და სათანადო მასალის მომზადება;
- საოპერაციოს, ინსტრუმენტების და სათანადო მასალის მომზადება;
- ლაბორატორიული კვლევის მეთოდების მოცულობის განსაზღვრა;
- სხეულის სახეადასხვა უბანზე განაკვეთების წარმოების წინასწარი დაგეგმვის მნიშვნელობა;
- ნაკერების დადების სპეციფიკურობა ჭრილობის სახეობისა, ხასიათისა და ლოკალიზაციის გათვალისწინებით;
- საკერი მასალის დიფერენცირებული შერჩევა სხეულის ცალკეული უბნების გათვალისწინებით;
- პლასტიკური ოპერაციების დროს ჭრილობის ჰემოსტაზი, კოაგულაცია, ელექტროდენის გამოყენების ჩვენება. დრენაჟების და ფილტების ხმარების ჩვენებანი და უკუჩვენებანი;
- კანის გენერალიზებული მოშლილობანი. ჰიპერტროფიული ნაწიბურები და კელოიდები;
- კრანოფასციალური ანომალიები და შესატყვისი ქირურგია (რეკონსტრუქციული პლასტიკები);
- სახის რბილი ქსოვილების დაზიანებები. თანდაყოლილი ანომალიები (კურდღლის ტუჩი, სახის ნაპრაღი, მლის ხახა და სხვა); წარბების, ორბიტების რეკონსტრუქცია. დეფექტების ნაირსახეობა თვალის და ქუთუთოს არეში;
- ლაზეროტერაპია (ტელეანგიექტაზიების, ჰემანგიომების, კანზე ლაქების - მოცილება, ლაზერული დეპილაცია)
- კანის მცირე ზომის წარმონაქმნების არაინვაზიური მკურნალობა
- დერმობრაზია (ლაზერული, მექანიკური, ქიმიური)
- კელოიდების, უხეში ნაწიბურების კონსერვატიული მკურნალობა
- მეზოთერაპია
- ბოტოქსოთერაპია
- სახის კანის გასუფთავება
- მასაჟი (კოსმეტოლოგიური, ლიმფოდრენაჟული, პლასტიკური)

- ფიზიოთერაპია (ენერგეტიკული ქოქონი, ვიბრომასაჟი, პიდრომასაჟი, მიოსტიმულაცია, დარსონვალიზაცია, ფონოფორეზი)

ბ.ბ)სახის და თავის პლასტიკური ქირურგია

- რინოპლასტიკა
- ცხვირის ტანდაყოლილი და სექენილი დეფექტების მკურნალობა
- თვალის ჭრილის პლასტიკა
- ზედა და ქვედა ტუჩის პლასტიკა
- ნიკაპის პლასტიკა
- წარბების და წამწამების რეკონსტრუქცია
- სახის კანის ატროფიული ფტოზის მკურნალობა
- სახის ნერვის პერიფერიული პარესის მკურნალობა
- თავის თმის ნაწილის პლასტიკა და რეკონსტრუქცია
- თმების იმპლანტაცია

ბ.გ) სხეულის კონტურული პლასტიკა

- აუგმენტაციური მამოპლასტიკა
- რედუქციული მამოპლასტიკა
- სარძევე ჯირკვლის აწევა ფტოზის დროს (ლიფტინგი)
- დვრილის და არეოლის პლასტიკა
- მამოპლასტიკა რადიკალური მასტექტომიის შემდეგ
- სარძევე ჯირკვლების განვითარების დეფექტებისა და მანკების მკურნალობა
- მუცლის რედუქციული პლასტიკა
- მუცლის თეთრი ხაზის თიაქრების და მუცლის სწორი კუნთების დიასტაზის მკურნალობა
- დიდი ზომის ვენტრიკულური თიაქრების მკურნალობა
- ბარზაყების რედუქციული პლასტიკა
- ლოკალური ლიპოდოზების ლიპოსაქცია
- ბარძაყების და წვივების ლიპოსაქცია
- მუცლის ლიპოსაქცია
- მიკროლიპოსაქცია სახეზე

სპეციალობა მოიცავს შემდეგი თანდაყოლილი და შექმნილი პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მკურნალობას, ფუნქციონირებად კარგული ორგანოს აღდგენას, ესთეტიკური ნაკლის აღმოფხვრას:

M95.0 კეხიანი ცხვირი

M95. ცხვირის ძვირის გამრუდება

Y34.3 ცხვირის ნიჟარების ჰიპერტროფია

Q17.5 წარზიდული ყურები

F16 ქუთუთოების დეფექტი

H02,4 ქუთუთოების ფტოზი

L57.4 სახის კანის ფტოზი

N64.2 ძუძუების ჰიპოტროფია; N62 ძუძუების ჰიპერტროფია;

E75.6 ლიპოიდოზი

E66.9 სიმსუქნე

E65 სიმსუქნე ლოკალური, ცხიმოვანი ბალიშები;

Q70.9 სინდაქტილია;

Q56.0 ჰერმეფროდიტიზმი;

N62 გინეკომასტია

L83 ქვემო კიდურების ვენების გაგანიერება;

Q36.9 კურდღლის ტუჩი;

Q35.9 მგლის ხახა

D18.0 ჰემანგიომა

Q54.9 ჰიპოსპადია

S44.1; S44.2; S44.0 ზედა კიდურის ნერვების დაზიანება;

S57.0 საჯდომის ნერვის დაზიანება;

S64.0 მხრის წნულის დაზიანება;

M67.9 მყესის დაზიანება;

L71.1 რინოფიმა;

Q83.8 აბერაციული (თანდაყოლილი) სარქვევ უირკვალი

J34.8 ავადმყოფობა ცხვირის

N46 აზოსპერმია

Q27.3 ანევრიზმა არტერიო-ვენური

NEC I 72.8 ანევრიზმა პერიფერიული არტერიის

Q27.9 ანომალია პერიფერიული ვენების

Q74.0 ანომალია ზედა კიდურის

Q74.0 ანომალია ხელის თითის

Q17.8 ანომალია ყურის ნიჟრის

Q55.9 ანომალია სასქესო ორგანოს კაცის

Q52.7 ანომალია სასქესო ორგანოს ქალის გარე

Q52.4 ანომალია საქალწულე აკის

Q83.9 ანომალია სარქვევ ჯირკვილის

Q55.0 არარსებობა სათესლეს თანდაყოლილი

Z90.7 არარსებობა სათესლეს შექმნილი

Q55.7 არარსებობა ასოს თანდაყოლილი
 Z90.7 არარსებობა ასოს შექმნილი
 Q83.8 არარსებობა სარძევე ჯირკვლის თანდაყოლილი
 Z90.1 არარსებობა სარძევე ჯირკვლის შექმნილი
 Q16.0 არარსებობა ყურის ნიჟარის თანდაყოლილი
 Q16.9 არარსებობა ყურის თანდაყოლილი
 Z90.0 არარსებობა ყურის შექმნილი
 Q 30.1 არარსებობა ცხვირის თანდაყოლილი
 Z90.6 არარსებობა ცხვირის შექმნილი
 S 09.9 ტრამვა ცხვირის ძვიდის წიაღის
 Q68.1 არასწორი ფორმა თითების ხელის
 Q17.4 არასწორი ფორმა ყურის ნიჟარის
 B07 დაზიანება მეჭეჭოვანი
 H02.9 დაზიანება ქუთოთოს
 G51.9 დაზიანება სახის ნერვის
 G58.9 დაზიანება ნერვის
 Q68.8 დეფორმაცია ხელის თანდაყოლილი
 M21.9 დეფორმაცია ხელის შექმნილი
 Q74.0 მეგალოდაქტილია
 Q74.2 მეგალოდაქტილია ფეხის
 M 9560/0 ნევრინომა
 D22.9 ნეფუსი
 M8050/0 პაპილომა
 I 89.0 სპილოვნება
 T85.8 ფიბროზი სარძევე ჯირკვლის (იმპლანტი)
 L91.0 კელოიდი
 H02.6 ქსანთელაზმა ქუთოთოს
 N47 ფიმოზი
 Q82.8 ჰემანგიომატოზი
 Q30.1 ჰიპოპლაზია ცხვირის
 Q17.2 ჰიპოპლაზია ყურის ნიჟარის, ბიბილოს
 Q55.6 ჰიპოპლაზია სასქესო ასოს
 J34.2 ცხვირის ძვიდის გამრუდება თანდაყოლილი
 L64 ანდროგენული ალოპეცია
 L66 ნაწიბუროვანი ალოპეცია;
 L63 ალოპეცია ბუდოვანი;

ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება ევალება ექიმ – სპეციალისტს:

- ელექტროკარდიოგრაფია;
- სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლის და ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ტესტები (გამოკვლევები);

- წყალ-მარილოვანი ბალანსის შეფასება და შენარჩუნება;
- ბიოფსიისა და ციტოლოგიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია
- ქსოვილთა ნიმუშების კრიოსექციული და პარაფინული ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის შედეგების ინტერპრეტაცია;
- ქსოვილოვანი სითხეების/გამონაყოფების აღება ლაბორატორიული შესწავლისათვის, მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ დაზიანებულ პაციენტთა კლინიკური შეფასების შკალები;
- ქალასშიდა წნევის მაჩვენებელი;
- სისხლძარღვთა დაავადებების გამოსაკვლეველ საჭირო სპეციფიკური ტექნიკური საშუალებებით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;
- თორაკოცენტეზის შედეგის ინტერპრეტაცია;
- ბრონქოსკოპია, თორაკოსკოპია, მედიასტინოსკოპია;
- ფიბროუხოფაგოგასტროდუოდენოსკოპია;
- რიგიდული და ფიბროსკოპული სადიაგნოზო პროქტო-კოლონოსკოპია;
- ERCP (ენდოსკოპური, რეტროგრადული, ქოლანგიო- პანკრეატოგრაფია);
- საყლაპავის ვარიკოზების სკლეროთერაპია;
- სადიაგნოზო რადიოლოგიის მეთოდებით (სონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი) მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ინტერპრეტაცია;
- მუცლისა და კიდურების სისხლძარღვების დოპლეროგრაფიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- სისხლის კლინიკური ანალიზის (საერთო, ბიოქიმიური, კოაგულოგრამა და ა.შ.) ინტერპრეტაცია;
- შარდის საერთო და ბიოქიმიური ანალიზების შედეგების ინტერპრეტაცია;
- ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- იმუნო-სეროლოგიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;

ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ადგილობრივი და რეგიონალური ანესთეზია; სისხლის ჯგუფისა და რეზუსის განსაზღვრა; ჰემოტსანსფუზია, სისხლის შენაცვლებითი გადასხმა;

რეანიმაცია და ჰემოდინამიკური მხარდაჭერა;

გადაუდებელი ქირურგიული პროცედურები;

შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ეპიცისტოსტომია;

ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია, ვენესექცია;

ვაგოსიმპატიკური ბლოკადა; ინტუბაცია ტრაქეოსტომია; პლევრალური, ლუმბალური პუნქცია;

გარეგანი და შინაგანი სისხლდენის შეჩერება;

ფილამენტლიფტინგი.

პირველადი დახმარება ყბა სახის ტრამვის დროს.

მყესების ნაკერი და პლასტიკა;
სისხლძარღვების ნაკერი და პლასტიკა;
ნერვების ნაკერი და პლასტიკა;
თითებისა და მტევნის თანდაყოლილი დეფორმაციების და განვითარების
მანკების მკურნალობა;
თითებისა და მტევნის დერმატოგენული, ოსტეოგენური და მყესოვანი
კონტრაქტურების მკურნალობა;
ნეიროგენული და ნეიროიშემიური კონტრაქტურების მკურნალობა;
ფოლკმანის კონტრაქტურა;
კუნთის გადანერგვა;
კანის გადანერგვა;
რთული ნაფლეთების გადანერგვა;
პერიფერიული ნერვების მიკროქირურგია;
მხრის წნულის მიკროქირურგია;
სახის ნერვის მიკროქირურგია;
რინოპლასტიკა, სეპტორინოპლასტიკა;
ბლეფაროპლასტიკა;
მენტოპლასტიკა;
წარბებისა და წამწამების რეკონსტრუქცია;
თმების იმპლანტაცია;
აუგმენტაციური მამოპლასტიკა;
რედუქციული მამოპლასტიკა; ძუძუების ლიფტინგი;
ძუძუების რეკონსტრუქცია;
ლიპოსაქცია, ლიპოსკულპტურა;
სხეულის კონტურული პლასტიკა;
სახის და სხეულის კონტურული პლასტიკა იმპლანტების გამოყენებით;
აბდომენოპლასტიკა;
დიდი ზომის ვენტრალური თიაქრების მკურნალობა;
რეკონსტრუქციული ოპერაციები: სახის თანდაყოლილი და შექმნილი
სიმახინჯეების/ დეფექტების გამოსასწორებლად;
ცხვირისა და ცხვირის დანამატი ღრუების ოპერაციები;
ცხვირის პლასტიკურ-რეკონსტრუქციული ოპერაციები;
ორბიტისა და ორბიტის ირგვლივ ქსოვილების პლასტიკურ-
რეკონსტრუქციული ოპერაციები;
ფეისლიფტინგი;
მხრების და ბარძაყების პლასტიკა;
ნაოჭების გასწორება სხვადასხვა მეთოდით;
ლიპომების მოცილება;
ათერომების მოცილება;
ნევუსების მოცილება;
პაპილომების მოცილება;
ქსანთელაზმების მოცილება;
დერმოაბრაზია სხვადასხვა მეთოდით;
ღრმა ქიმიური პილინგი;
სკლეროთერაპია.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება სარეზიდენტო პროგრამის გათვალისწინებით და არის 4 წელი. რეზიდენტთან მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 45 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში. პროგრამის მიმდინარეობის დროს, მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით.

პლასტიკური ქირურგიის სასწავლო პროგრამა იყოფა 3 ეტაპად: საწყისი ეტაპი ანუ ზოგადი ქირურგიის რეზიდენტურის მოდულები (საერთოა ყველა ქირურგიული სპეცილობებისთვის, ხანგრძლივობა 11 თვე), შუალედური ეტაპები (ხანგრძლივობა 11) – პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის საფუძვლების გაცნობა და იმ ქირურგიულ დისციპლინებში მზადება, რომელიც სჭირდება პლასტიკურ ქირურგს და უმაღლესი ეტაპი (ხანგრძლივობა 22 თვე) – საკუთრე პლასტიკურ ქირურგიაში მზადება.

თითოეული რეზიდენტი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული პროგრამის შესრულება და მრავლობითი მოდულები/როტაციები გამიზნულია იმისათვის, რომ რეზიდენტმა შეძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; მიიღოს საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით.

ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალურად დანიშნული ექიმების (მოდულზე პასუხისმგებელი პირი - ლოკალური ხელმძღვანელი) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის მიერ მისი ინდივიდუალური გეგმის შესრულება, რეზიდენტის წასვლა-მოსვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. ზედამხედველობა რეზიდენტისაგან მოითხოვს განსხვავებულ დამოკიდებულებას ქირურგიული სპეციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით.

რეზიდენტის ზედამხედველ ექიმს - მოდულზე პასუხისმგებელი პირს (ლოკალურ ხელმძღვანელს) გააჩნია, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. ამასთან, პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, აღნიშნული ზედამხედველობა უფრო ნაკლები ხარისხით ესაჭიროება, ვიდრე სწავლების საწყის საფეხურზე მყოფ პირებს. მითითებების ჯაჭვი ითვალისწინებს

ეტაპობრივი პასუხისმგებლობის ზრდას. უფლებამოსილების გადაცემის საზღვრები, კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, გამომდინარე რეზიდენტის აკადემიური მომზადებისა და ტექნიკური მზაობის ასპექტებიდან. ამგვარი მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის (ლოკალური ხელმძღვანელის) ხანგრძლივი დაკვირვებიდან, რომელნიც პასუხისმგებელი არიან რეზიდენტის მიერ ქირურგიული უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ხარისხზე. ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის, მომზადების პროგრამა უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის განხორციელების შემდეგ პრინციპებს:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს კლინიკის შინაგანაწესით, პოლიტიკით ან სხვა რაიმე პროცედურული ნორმით;
2. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები და წესები პერიოდულად მოწმდებოდეს სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლის გასვლითი ვიზიტების დროს;
3. სათანადო ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს პროგრესულ და შედარებით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებას რეზიდენტებთან დაკავშირებით; ამგვარად, ზედამხედველობის ტიპი შესაძლებელია ვარიირდეს კლინიკური სიტუაციებისა და რეზიდენტის მომზადების ეტაპისა და დონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირი (ლოკალური ხელმძღვანელი) ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რჩევის მიცემის, დახმარების ან კონსულტაციური მხარდაჭერისათვის.

პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის რეზიდენტები პროგრამაში მონაწილეობისას უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. წლიდან წლამდე, რეზიდენტთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა შეფასების სისტემის საშუალებით. რეზიდენტთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ-ჩვევების, ზოგად სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელთან. რეზიდენტთა განვითარების და მოქმედების პროგრესის მონიტორინგი ეტაპობრივად ხორციელდება თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ. რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს გამოცდის ტიპით მოწყობილი გამოკითხვით: ზეპირი, ტესტური, წერილობითი და ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის სახით. მოდულის დასრულების შემდეგ შეფასების ანგარიში გადაეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს განსახილველად და ხელმოწერისათვის. რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის პრომოციის, სრულყოფის, გამოსწორების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით. გათვალისწინებულია, რეზიდენტთა შეფასება განხორციელდეს OSCE სისტემის საშუალებით.

4. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

რეზიდენტურის პროგრამა “პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია” –

44 თვე 4 (წელი)

ცხრილი № 1

პროფესიული მზადების I წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივ.
მოდული 1.1	ზოგადი ქირურგია	10თვე
მოდული 1.2.	ლაპარასკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი)	1 თვე

პროფესიული მზადების II წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივ.
მოდული 2.1.	ტრავმატოლოგია-ორთოპედია	1 თვე
მოდული 2.2.	ყბა-სახის ქირურგია	1კვირა
მოდული 2.3.	ინტენსიური თერაპია	1 თვე
მოდული 2.4.	ნეიროქირურგია	1 თვე
მოდული 2.5.	პლასტიკური ქირურგია	2 თვე
მოდული 2.6	კომბუსტიოლოგია	2თვე და 3კვირა
მოდული 2.7.	ბავშვთა ქირურგია	1 თვე
მოდული 2.8	სისხლძარღვთაქირურგია	2 თვე

პროფესიული მზადების III წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივ.
მოდული 3.1.	რეკონსტრუქციული მიკროქირურგია	5 თვე
მოდული 3.2.	პერიფერიული ნერვული სისტემის მიკროქირურგია	3 თვე
მოდული 3.3.	ნაფლეთების მიკროქირურგია	3 თვე

პროფესიული მზადების IV წელიწადი		
მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივ.
მოდული 4.1.	ესთეტიკური ქირურგიის საფუძვლები	3 თვე
მოდული 4.2.	სახის და თავის პლასტიკური ქირურგია	3 თვე
მოდული 4.3.	სხეულის კონტურული პლასტიკა	3 თვე
მოდული 4.4.	კომბუსტიოლოგიური ქირურგია	2თვე

პროფესიული მზადების I წელი

მზადების პირველი წლის მოდულების რაოდენობა 2

მოდული 1.1. - ზოგადი ქირურგია;

მოდული 1.2. – ლაპარასკოპიული ქირურგია (ბაზისური ნაწილი)

პროფესიული მზადების I წლის მიზანი:

ზოგად ქირურგიაში დიპლომის შემდგომი მომზადების პროგრამის უმცროსი რეზიდენტის საქმიანობის აქცენტირება, საორიენტაციო პროგრამის გავლის შემდეგ უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა ქირურგიული ავადმყოფის პირველად მოვლაზე. უმცროსი რეზიდენტის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს პრე- და პოსტოპერაციული მოვლა; ამავდროულად მისი საქმიანობა უნდა მოიცავდეს ოპერაციული აქტივობის გრადაციულ, თანდათანობით ზრდასაც. პაციენტის მოვლაზე მეთვალყურეობას ახორციელებენ უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი, რომლებიც უფლებამოსილებას უნაწილებენ უმცროს რეზიდენტს ამ საქმიანობის დროს. სწავლების პირველი წლიდანვე უნდა შეიქმნას კოლეგიური და აკადემიური ატმოსფერო, რათა უმცროსმა რეზიდენტმა შესძლოს ისწავლოს უფრო გამოცდილი სამედიცინო პერსონალისაგან. უმცროსი რეზიდენტი უნდა გათვითცნობიერდეს ქირურგიულ დაავადებათა ფიზიოლოგიურ და მეტაბოლურ ასპექტებში, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთდეს კონკრეტულ ავადმყოფთა მდგომარეობაზე, რომელიც კლინიკაში ამ მომენტისათვის გადის მკურნალობის კურსს. როგორც უკვე აღინიშნა, უმცროსი რეზიდენტი, პირველი წლიდანვე ეტაპობრივად უნდა ჩაერთოს ოპერაციულ აქტივობაში, უფროსი რეზიდენტისა და ზედამხედველი ექიმის უშუალო ხელმძღვანელობით.

სწავლების პირველი წლის განმავლობაში, რეზიდენტი გადის შესაბამის როტაციებს დადგენილი განრიგის მიხედვით. როტაციები აუცილებლად უნდა მოიცავდეს ზოგადქირურგიულ კლინიკას (ქირურგიულ ონკოლოგიის ელემენტებით), ამავე წლიდან რეზიდენტი იწყებს მუშაობას ინტენსიური თერაპიის პალატაში (რეანიმატოლოგია), რათა სრულყოს მიღებული ცოდნა გავლილი როტაციების შესაბამისად. I წლის რეზიდენტი, უფროს რეზიდენტებთან და ზედამხედველ ექიმებთან ერთად, პასუხისმგებელი არიან ავადმყოფთა მიღებაზე, შეფასებაზე, დიაგნოსტიკაზე და სამკურნალო გეგმაზე. I წლის რეზიდენტებს თავდაპირველად არ ევალებათ ძირითადი სისხლიანი და ინვაზიური მანიპულაციების უშუალო ჩატარება (სისხლის აღება, ფოლეის კათეტერიზაცია და ა.შ.) თუმცა მოეთხოვებათ გათვითცნობიერდნენ და შეისწავლონ აღნიშნული რუტინული პროცედურები სწავლების დაწყებისთანავე.

მზადების მეორე წლის მოდულების რაოდენობა 8

- მოდული 2.1. – ტრავმატოლოგია-ორთოპედია
- მოდული 2.2. – ყბა-სახის ქირურგია;
- მოდული 2.3. – ინტენსიური თერაპია;
- მოდული 2.4. – ნეიროქირურგია;
- მოდული 2.5. პლასტიკური ქირურგია;
- მოდული 2.6. – კომპუსტიოლოგია;
- მოდული 2.7. – ბავშვთა ქირურგია;
- მოდული 2.8. – სისხლძარღვთა ქირურგია.

პროფესიული მზადების II წლის მიზანი:

მეორე წლის უმცროსი რეზიდენტი აგრძელებს პრე- და პოსტოპერაციული მოვლის ათვისებას, და გარდა ამისა მისი ოპერაციული აქტივობა საგრძნობლად უნდა იქნეს გაზრდილი. მეორე წლის განმავლობაში, რეზიდენტი როტაციებს

გადის და ცოდნას იღრმავებს ტრავმაში და ინტენსიურ თერაპიაში, ნეიროქირურგიაში, ყბა-სახის ქირურგიაში, კომბუსტიოლოგიაში და ბავშვთა ქირურგიაში. ინტენსიური თერაპიის პალატაში როტაციის დროს, რეზიდენტი იღრმავებს წინა წელს მიღებულ ცოდნას და განმეორებით უხდება იგივე პათოლოგიებისა და მდგომარეობების მართვა, რაც გასული წლის პროგრამით იყო გათვალისწინებული. რეზიდენტი მონაწილეობას იღებს ე.წ. “მწვავე” ავადმყოფთა მოვლაში, ასევე იგი მუშაობს პოლიკლინიკურ (ამბულატორულ) ქირურგიულ პაციენტებთან. მზადების მეორე წლისათვის, რეზიდენტის მომზადების მთავარი კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ რეზიდენტმა უნდა შეძლოს საბაზისო ცოდნისა და ინტენსიური თერაპიის პალატაში მიღებული ცოდნის კომბინირება ქირურგიულ ავადმყოფებთან მიმართებაში. აღნიშნული ტენდენცია უნდა გასდევდეს ყველა როტაციულ ციკლს, რომელიც მეორე წლის რეზიდენტურის პროგრამით არის გათვალისწინებული. რეზიდენტი კლინიკაში შესაძლოა მორიგეობდეს უკვე ყოველ მესამე ან მეოთხე დღეს (გარდა ინტენსიური თერაპიის როტაციის პერიოდისა, რომელიც შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული განრიგით).

მზადების მესამე წლის მოდულების რაოდენობა 3

მოდული 3.1. – რეკონსტრუქციული მიკროქირურგია;

მოდული 3.2. – პერიფერიული ნერვული სისტემის მიკროქირურგია;

მოდული 3.3 – ნაფლეთების მიკროქირურგია;

პროფესიული მზადების III წლის მიზანი:

პროფესიული მზადების მესამე წელს რეზიდენტი ეცნობა პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის საბაზისო დისციპლინებს. ეუფლება მიკროქირურგიული ტექნიკის თავისებურებებს, პერიფერიული ნერვული სისტემაზე მუშაობის სპეციფიკას, ეცნობა მის ანატომიას და ფიზიოლოგიას. სწავლობს დაზიანებული ნერვების კლინიკურ გამოხატულებას სწავლობს ნაფლეთების მიკროქირურგიული გადანერგვისა და როტაციის ზოგადი თვისებებს, ნაფლეთების დაგეგმვას, ნაფლეთების შესაქმნელად ოპტიმალური უბნის შერჩევას კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, ნეირო-სისხლძარღვოვან მკვებავ ფეხზე არსებული ნაფლეთების შექმნის თავისებურებებს, სისხლძარღვოვანი და ნერვის ნაკერების მიკროქირურგიულ შესრულებას. სწავლობს შესაბამისი პაციენტების პოსტოპერაციული პერიოდის მართვის თავისებურებებს.

მზადების მეოთხე წლის მოდულების რაოდენობა 4

მოდული 4.1. – ესთეტიკური ქირურგიის საფუძვლები;

მოდული 4.2. – სახის და თავის პლასტიკური ქირურგია;

მოდული 4.3. – სხეულის კონტურული პლასტიკა;

მოდული 4.4. – კომბუსტიოლოგიური ქირურგია.

პროფესიული მზადების IV წლის მიზანი:

მეოთხე წლის მიზანია რეზიდენტი დაეუფლოს ესთეტიკური ქირურგიის პრინციპებს და ქირურგიულ ტექნიკას, შეძლოს სწორი დიაგნოზის დასმა. დაეუფლოს: სწორი განაკვეთის ტექნიკას, რბილ ქსოვილებზე მანიპულაციების

ტექნიკას და ჰემოსტაზის თავისებურებებს პლასტიკური ოპერაციის დროს; შეიძინოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სახეზე და თავზე შექნილი და თანდაყოლილი პათოლოგიების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ, დაეუფლოს რინოპლასტიკას, ნიკაპის, თვალის ჭრილის პლასტიკას და ა.შ.; შეიძინოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხეულის კონტურული პლასტიკის შესახებ; დაეუფლოს კოსმეტოლოგიის ძირითად პინციებს; გაეცნოს და შეისწავლოს კომბუსტიოლოგიური ქირურგიის დარგის სპეციფიურობა.

შენიშვნა:4 წლიანი სწავლების ვადა გულისხმობს, 44 სასწავლო და 4 საშვებულებო თვეს.

5. აკადემიური პერსონალი და საბანმანათლებლო რესურსები

პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

1. რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინარეობაზე კონტროლი.
3. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ყოველწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინო დაწესებულების მითითებით.
4. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით, დადგენილი წესის მიხედვით, რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
7. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებით ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან/მაძიებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.
9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა.
2. პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა.
3. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
4. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
2. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის ხელმძღვანელობას;
3. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
4. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
6. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების/სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
7. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს

პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;

8. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია გაიაროს ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად.
9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა.
10. პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ განესაზღვრება მოდულის/მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.

6. პროგრამის ხანგრძლივობა

პლასტიკურ და რეკონსტრუქციულ ქირურგიაში დიპლომის შემდგომი მზადების პერიოდი მოიცავს მინიმუმ 4 წელს (44 თვეს). პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით. პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 45 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში. მომზადების პერიოდში რესურსების სიმცირის, პროგრამის უწყვეტობისა და მიმდინარეობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, თუ კვალიფიკაციის მაძიებელი ვერ შეასრულებს კურიკულუმს, პროგრამის ფაკულტეტი განიხილავს საკითხს პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდასთან და კლინიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით.

7. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამის განახლება უნდა ხდებოდეს 4 წელიწადში ერთხელ.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი (სწავლების საწყისი ეტაპი)

პროფესიული მზადების I წელი

მზადების პირველი წლის მოდულების რაოდენობა არის 2: ზოგადი ქირურგია, ლაპაროსკოპული ქირურგია (საბაზისო ნაწილი).

პროფესიული მზადების I წლის მიზანი

ზოგადქირურგიაში დიპლომის შემდგომ მიმზადების პროგრამის რეზიდენტის საქმიანობის აქცენტრება უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა ქირურგიული ავადმყოფის პირველად მოვლაზე.

რეზიდენტის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს პრე-დაპოსტოპერაციული მოვლა; ამავე დროულად მისი საქმიანობა უნდა მოიცავდეს ოპერაციული აქტივობის თანდათანობით ზრდასაც.

პაციენტის მოვლაზე მეთვალყურეობას სახორციელებენ უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი,

რომლებიც უფლებამოსილებას უნაწილებენ უმცროს რეზიდენტს საქმიანობის დროს.

სწავლების პირველი წელიდანვე უნდა შეიქმნას კოლეგიური და აკადემიური ატმოსფერო, რათა უმცროსი რეზიდენტი ტამაშეძლოს,

ისწავლოს უფრო გამოცდილის ამედიცინოპერსონალისაგან.

უმცროსი რეზიდენტი უნდა გაათვითცნობიერდეს ქირურგიულ დაავადებათა ფიზიოლოგიურ დამატებოლოურ ასპექტებში,

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტულ ავადმყოფთა მდგომარეობაზე, რომელიც კლინიკაში ამომენტისათვის გადაისმკურნალობის კურსს.

როგორც უკვე აღინიშნა, უმცროსი რეზიდენტი, პირველი წელიდანვე ეტაპობრივად უნდა ჩაერთოს ოპერაციულ აქტივობაში,

უფროსი რეზიდენტისა და ზედამხედველი ექიმის უშუალო ხელმძღვანელობით.

პროფესიული მზადების I წლის მოდულები

მოდული 1.1.

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** - ზოგადი ქირურგია - 10 თვე

2. **მოდულის მიზანი** - საწყისი სტადიის მიზანია რეზიდენტს განუვითაროს ქირურგიული საბაზისო და ფუნდამენტური ჩვევები, რაც საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობისთვის. მოდულის მიზანია, საორიენტაციო პროგრამის შემდგომ რეზიდენტს გააცნოს ზოგადი ქირურგიის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰემოდინამიკურ და ჰომეოსტაზურ მაჩვენებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს პოლიკლინიკური ქირურგიის ტიპურ მანიპულაციებს. მოდულის ბოლოს, რეზიდენტი ეუფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიულ კომპონენტებს, მათ შორის ტრაქეოტომიის, ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკას და თეორიულ საფუძვლებს.

3. **მოდულის ამოცანები:** დასახული მიზნებიდან გამომდინარე, რეზიდენტმა უნდა შეესაბამოს აითვისოს ჩირქოვანი ქირურგიის პრინციპები, რაც უნდა გამოიყენოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულების დროს, კერძოდ: აბსცესების და ფლეგმონების დრენირება, პანარიციუმის, ჰიდრადენიტის და სხვა ჩირქოვანი კერების გახსნა და დრენირება. მოგვიანებით, რეზიდენტი უფლებს ალაპაროტომიისა და ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვის ტექნიკას ადაპრინციპებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი მანიპულაციებისათვის, როგორც აქირურგის კომპეტენციაში შემავალი ანატომიური სტრუქტურების აღდგენას (ნერვი, სისხლძარღვი, მყესი).

რეზიდენტი უფლებს ბიოფსიურ იმასა და ლიმფური სისტემის ტექნიკას და ბოლოთვეში მან უნდა აშეისწავლოს ასევე ლაპაროსკოპიის, როგორც ქირურგიული მიდგომის ერთ-ერთი სახის ძირითადი პრინციპები.

მას უნდა შეეძლოს ასისტენტისა და ლაპაროსკოპული ოპერაციების დროს; მან ასევე უნდა შეესაბამოს ლაპაროსკოპული ოპერაციის დაწყება და ამისათვის საკმარისი ეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა.

ლიტერატურის ნუსხა -

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი. 2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004. (თარგმანი).
3. ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), P Ronan O'Connell (Author) , 25th edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basis for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

**http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm
(clinical surgery, surgical videos).**

www.surgical-tutor.org.uk

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1-ის სახით).

ცხრილი № 1.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>ზოგადი ქირურგიული ჩვევები: უსაფრთხო ქირურგიის პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიის მომზადება ოპერაციისთვის • ხელის დაბანის, დამუშავებისა და ხელთათმნის ჩაცმის პრინციპები • ქირურგებისა და ავადმყოფებისათვის იმუნიზაციის პროტოკოლები <p>ადგილობრივი ანესთეზიის დანიშვნა</p> <ul style="list-style-type: none"> • საანესთეზიო პრეპარატის შერჩევა <p>ქირურგიული ჭრილობები</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიული ჭრილობების კლასიფიკაცია • ჭრილობის მართვის პრინციპები • ჭრილობის შეხორცების პათოფიზიოლოგია • ნაწიბურები და კონტრაქტურები • კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> ○ ლანგერის ხაზები ○ ინსტრუმენტის არჩევა 	<ul style="list-style-type: none"> ❖ ქირურგის მომზადება ოპერაციისთვის <ul style="list-style-type: none"> • ევექტური და საიმედო ხელის დაბანვა, ხელთათმნის ჩაცმა და სტერილური ხალათის ჩაცმა ❖ ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკა, საანესთეზიო აგენტის სწორი და უსაფრთხო გამოყენება ❖ კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> • სკალპელის, დიათერმიის და მაკრაქტლის გამოყენება ❖ კანისა და კანქვეშა ქსოვილის 	<p>30</p> <p>10</p> <p>20</p> <p>20</p> <p>100</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, ლოკალური ხელმძღვანელი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს. თეორიული მასალა ფასდება კლინიკის თანამშრომელთა მიერ, კონფერენციების ბოლოს. შეფასება ფიქსირდება სარეგისტრაციო ურნალში.</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ უსაფრთხო პრაქტიკა • კანისა და კანქვეშა ქსოვილის დახურვა <ul style="list-style-type: none"> ○ ჭრილობის ყრუდ გაკერვის ჩვენებები ○ საკერავი ძაფისა და ნემსის არჩევა • კვანძის დადება <ul style="list-style-type: none"> ○ ნაკერისა და ლიგატურის დასადები მასალა და მათი შერჩევა ○ ქირურგიული ნაკერებისა და ლიგატურებისთვის კვანძების უსაფრთხო გამოყენება • ჰემოსტაზი <ul style="list-style-type: none"> ○ ქირურგიული ტექნიკა ○ დიათერმიის პრინციპები ○ ინსტრუმენტების შერჩევა • ბიოფსიის ტექნიკა ასპირაციული ციტოლოგიური მასალის აღების ჩათვლით • დრენაჟის გამოყენება <ul style="list-style-type: none"> ○ ჩვენება ○ ტიპები ○ მენჯემენტი/ამოდება • ანასტომოზის ფორმირების პრინციპები • ქირურგიულ ენდოსკოპიის პრინციპები 	<p>დახურვა</p> <ul style="list-style-type: none"> • ჭრილობის კიდეების ზუსტი და დაუჭიმავი შეპირისპირება <p>❖ კვანძის დადება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთი ხელით • ორი ხელით • ინსტრუმენტით • ზედაპირული • ღრმა <p>❖ ჰემოსტაზი:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლმდენი სისხლძარღვის (ზედაპირული) კონტროლი • დიათერმია • ლიგირება ნაკერით • კვანძოვანი ლიგირება • კლიპირება • ტრანსფიქსირი ნაკერი <p>❖ ქსოვილის რეტრაქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიული პინცეტი • ჭრილობის რეტრაქტორის მოთავსება <p>❖ დრენაჟის გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩადგმა • ფიქსაცია 	<p>50</p> <p>20</p> <p>20</p> <p>20</p> <p>10</p> <p>20</p>	
---	---	---	--

	<ul style="list-style-type: none"> • ამოღება • ❖ ქსოვილის დამუშავება: <ul style="list-style-type: none"> • ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება და ქსოვილებთან ფაქიზი მოპყრობა • ბიოფსიის ტექნიკა ❖ ასისტენტობის ჩვევები <ul style="list-style-type: none"> • ოპერატორის ასისტირება 		
